საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 239

პარ[illegible] 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველ. პროფკავშირთა ყრილობები

მუშათა კლასს საბჭოთა რესპუბლიკებში აქვს სხვადასხვა ორგანოები, რომელნიც სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ. მისთვის პირველ ხარისხოვან და ხელმძღვანელ როლს თამაშობს სუეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორაც არის პარტია მუშათა კლასის ძალა-უფლების გამომხატველი და მისი ნების სახელმწიფოებრივ ფორმას გამოხატავს მუშათა და გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოები.

მაგრამ მუშათა კლასის განვითარებასა და მისი ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისათვის აგრეთვე ძლიერ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პროფესიონალურ კავშირებს. მართალია პროფკავშირები არასოდეს წარმოადგენდნენ წმინდა პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მაგრამ იგინი არასოდეს არ ყოფილან პოლიტიკის გარეშე. პროფკავშირებს ხშირად უთამაშია უდიდესი პოლიტიკური და ქედმამრეველი როლი მუშათა კლასის ძალა-უფლებისათვის ბრძოლის დროს. ამის მაგალითებს იძლევა რუსეთის რევოლუცია, რომლის წამებითი სვლა ერთიან გადაიტანა თავის მხრებზე პროფკავშირებმა; შეიძლება ითქვას, რომ თუ რუსეთის რევოლუციამ სძლია ინტერვენცია, გაიმარჯვა უსაშინელეს სამოქალაქო ომში და მუშათა კლასის ძლევა-მოსილებას მისცა დღეს არსებული სახელმწიფოებრივ—უფლებრივი ყალიბი, ამის უძლიერესი ფაქტორი იყო ის მუშათა მასიური ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდება პროფესიონალური კავშირი. მუშათა კლასის ყველაზე უფრო თავშეყრილი და მასიურად ერთ პერ ქვეშ მომქცევი აუცილებლად პროფკავშირები იყო და დღესაც რჩება.

ამის და მიუხედავად საერთი მისი უშუალო მუშაობისა, მისი წარმოშობა—განვითარებისა არ იყო უმთავრესად პოლიტიკური.

უწინარეს ყოვლისა, როგორც რუსეთში, ისე ევროპა-ამერიკაში პროფკავშირები წარმოადგენდნენ მუშათა კლასის ეკონომიურ ორგანიზაციას. მუშათა კლასის შემკვრელი ძალაბი იყო ის ყოველდღიური ეკონომიური ინტერესი, რომელიც თავს უყრიდა მუშათა კლასს მთლიან პროლეტარულ ოჯახში,—პროფკავშირებში.

თვით ჩამორჩენილი მუშაც კი, რომელსაც ნაკლებად აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესი და ბრძოლა საერთო ადამიანური უფლებისათვის, თვით ეს მუშაც ჯერ იძულებით, შემდეგ სიყვარულით მიეშურება თავის ინტერესების დამცველ ორგანიზაციაში. რამდენად პროფკავშირები სძლებდნენ დაეკმაყოფილებინათ ამ გვარად ჩამორჩენილი მუშის ყოველდღიური წვრილმანი მოთხოვნილებანი, რამდენად მუშისათვის იგი არ იყო ბიუროკრატიული დაწესებულება, სადაც სიარული მხოლოდ თავს აბეზრებდა და ხმ[illegible]ებისა და შველის მძებნელს, იმდენად იგი მძლე კლასობრივი ორგანიზაციის ისტორიულ მისიას ემსახურებოდა.

აქ ამ პროფკავშირებში იყო რომ პროლეტარიატი ღებულობდა კლასობრივ აღზრდა-განვითარებას, აქ იწვრთნებოდა ის მებრძოლნი, რომელნიც რევოლუციის კრიზისისა და გაჭირვებული მომენტების დროს მუშათა კლასის ტალღას მიმართავდა ბურჟუაზიის გასანადგურებლად.

თვით სამხედრო კომუნიზმის არსებობის დროსაც რუსეთში ალიარებული იქმნა განუსაზღვრელი მნიშვნელობა პროფკავშირებისა მუშათა კლასის ეკონომიური ინტერესების დაცვის საქმეში და ეს მაშინ, როცა მას არ ყავდა სხვა, გარეშე მისდამი მტრულად განწყობილი სოციალური კლასი, მაშინ, როცა მთელს წარმოებისა და მეურნეობას თვით განაგებდა და კიდეც ჰქმნიდა.

ცხადია აქ მნიშვნელობა პროფკავშირებისა გაცილებით იზრდება დღეს რუსეთში და ჩვენშიაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის წარმოების დროს. აქ უკვე გამოკვეთილა და უფრო ნათლად პირველს რიგში სდგება ეკონომიური მომენტი და ბუნებრივი. თუ პროფკავშირებს უშუალოდ ემსახურება მუშათა კლასისათვის თვალსაჩინო ეკონომიური და ყოველდღიური ტკივილის მოშუშება.

პროფესიონალურ კავშირებს საქართველოში აქვს ახალი ეკონომიურ პოლიტიკასთან შეფარდებული სათანადო აპარატი და ბრძოლის შესაფერისი მეთოდებიც. ჩვენ მიზანს არ შეადგენს ამ ჟამად გავარკვიოთ საქართველოს პროფკავშირების ორგანიზაციული სტრუქტურა, ან ის დაცვის მეთოდები, რომელსაც ეს ორგანიზაცია მიმართავს პროლეტარიატის ინტერესებისათვის ბრძოლის დროს.

ჩვენი მიზანია მივაქციოთ ყურადღება მიმდინარე ყრილობებისა იმ ეფექტზე, რომელიც გამოიღო დღევანდელ შორეულ ეკონომიურ ფორმის არსებობამ პროფკავშირების მუშაობაზე; ან უკეთ რომ ვსთქვათ ჩვენ გვინდა მოვისმინოთ, როგორც პროვინციელ, ისე ტფილისელ დელეგატებისაგან კონკრეტიული ფაქტებით შედეგი პროფკავშირების მოვალეობის შესრულებისა იმ ახალი პოლიტიკისა და ბრძოლის მეთოდების წარმოების ხანაში, რომელსაც იგი დაადგა სახელმწიფოსაგან ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების დროიდან.

საყურადღებოა აგრ. ვიცოდეთ, როგორ მდგომარეობაშია ეკონომიურად მუშათა კლასი კერძო წარმოებებში და როგორია მისი ნივთიერი სახე კერძო მწარმოებელთან.

მომავალ მუშაობას გაადვილებს სისტემაში მოყვანა ყველა იმ ფაქტებისა, რომელნიც უნდა ითქვას მოურიდებლად და გარკვეულად წარმომადგენლებისაგან.

მაგ. როგორი ხასიათი მიიღო დამოკიდებულებამ შრომის და კაპიტალის შორის სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, რამდენად იხრება შრომის ექსპლოატაციისაკენ სახელმწიფო წარმოებების ადმინისტრაცია, ან როგორია მუშათა წრეების განწყობილება სახელმწიფო წარმოებისადმი მიილო რამდენად უმჯობესდება შრომის პირობები უკანასკნელში.

როგორი ხასიათს ღებულობს შრომის ექსპლოატაცია კერძო წარმოებებში. ამ ყრილობისათვის პირველი მნიშვნელობის საკითხია, რადგან ამისგან არის დამოკიდებული ბევრი რამ პროფკავშირების მომავალი მოქმედების გასათვალისწინებლად. საჭიროა ვიცოდეთ რა შედეგებს აღწევს პროფკავშირების ცდა მუშათა ეკონომიური ინტერესების დაცვის საქმეში და რა დამაბრკოლებელი მიზეზებია შექმნილი ამ მუშაობის სასურველად წარმართვისათვის როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივ წარმოებებში...

რამდენ უნარიანობას იჩენენ პროფკავშირები საწარმოო ორგანიზაციებთან მუშაობაში და რა ღირსება მათ ნაყოფიერ საქმიანობას—აგრეთვე დიდი ყურადღებისა და დაკვირვების ღირსია.

ყრილობამ ყველა ეს კითხვები და მრავალი სხვა, რომელიც მათ აქვთ დღის წესრიგში, ან მუშაობის პროცესში წამოიჭრებიან. განსაკუთრებით გულდასმით უნდა მოისმინოს და სათანადო ანალიზით გაარჩიოს. თუ ამ საკითხებზე მან სათანადო და დამაკმაყოფილებელი პასუხი არ გასცა, პროფკავშირები უარს ეტყვიან თავიანთ მთავარ ამოცანას, რომელიც ასე მწვავედ სდგას მის წინაშე: იგი შეიძლება ჩამოშორდეს მუშათა მასსებს და გაირიყოს. მისი უახლოესი მიზანი კი ამ მასსებთან დაახლოვებაა, ცენტრის გადაბმა პერიფერიასთან, ქვეორგანიზაციებთან არის მოთხოვნილება პროფმოძრაობის დღევანდელი განვითარებისა.

ეს კი არ იქნება შესრულებული, როგორი ორგანიზაციული სტრუქტურაც არ უნდა გამოიმუშაოთ, თუ კი ამავე დროს ალღოს არ აუღებთ მუშათა კლასის დღიურ ტკივილებს და შესაფერისს ბრძოლის საშუალებებს არ გამონახავთ.

ჩვენ უნდა გვითხრან ადგილებიდან, თუ რა ეფექტს იძლევა იკოლექტური ხელშეკრულებანი და როგორი წინააღმდეგობას უწევენ მის დადებასა და განსაკუთრებით შესრულებას კერძო თუ სახელმწიფო წარმოებანი.

ერთი სიტყვით, ჩვენ საქართველოს პროფკავშირების ყრილობებზე უნდა მოვისმინოთ ცოცხალი სიტყვა მუშათა კლასისა, კონკრეტიული ტკივილები რევოლუციის შვილისა და ჯამი შეუკრავი, შესაფერი რეზიუმე გამოკვეთით ბევრ სტიქიურ წამოძახილსა და სისტემაში მოუყვანელ ფაქტებს.

მეორეს მხრით ცენტრმა ჩამოსულ დელეგატებს უნდა გაატანოს ბევრი რამ ახალი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დღევანდელი მომენტის შესახებ, უნდა მიაწოდოს მათ თეორიული საზრდოც, რამდენად ეს ყრილობებზეა შესაძლებელი.

ამ გზით შეიძლება ყრილობების უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევა, ამ გზით შეიძლება ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოთ საქართველოს მუშათა კლასის ყავარჯენის პროფკავშირების გაძლიერება.

ჩვენ გულწრფელად მივესალმებით და ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას პროფკავშირების ყრილობებს, მათთან არის შეკავშირებული მშრომელი საქართველოს მომავალიც.

ფიცხი.

## პრესა

გაზ. „კომუნისტში“ შემდეგს ვკითხულობთ ბინის საკითხის შესახებ:

„შედარებით ძველ ხანებთან, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ბინის საკითხი რადიკალურად არის გაუმჯობესებული და კერძო შესახლების გარდა, მუშა-მოსამსახურეებისათვის ნაციონალიზაცია უყვეს მთელ რიგ დიდ სახლებს. მაგრამ ეს საკითხი სავსებით და საბოლაოთ ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. მრავალი მუშა-მოსამსახურე კვლავ გატანჯულია უბინაობით თუ ცუდი ბინით.

გამოვიდა საბინაო კანონი და სახლის მეპატრონეებმა ეს თავის სასარგებლოთ გაიგეს. ყველა მალავს ბინას და არ უნდა საბჭოთა მოსამსახურეს მისცეს, თუმცა ზოგიერთ სახლში საბჭოთა მუშა-მოსამსახურეებისათვის განსაზღვრული პროცენტიც არაა დაკავებული მათ მიერ,

ამ საკითხს უეჭველათ უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. უნდა მოხდეს რადიკალური შემოწმება ბინებისა. ბევრის ბინაზე დღეს ირიცხება მკვდარი სულიერი. ბევრსაც უკავია ზედმეტი ბინა და ეს მაშინ, როდესაც მუშები ასეთს სავსებით მოკლებულნი.

საშინლათ არის არეული საქმე ქალაქის საბჭოს საბინაო განყოფილებაში. აქ თხოვნებზე ისე იძლევიან პასუხს, რომ თვით თხოვნას არ კითხულობენ და მის შინაარს არ ეცნობიან. ეს არც გასაკვირველია მისი მუშაობის პირობებში. როდესაც ერთ და იმავე დროს 10 თხოვნას ისმენს, სხვანაირი პასუხი შეუძლებელია. მუშა-მოსამსახურეს ტყუილათ უხდებათ მთელი დღეებით იქ პასუხისათვის ცდა. სასურველია ამას ყურადღება მიექცეს. ან მოსამსახურეთა შტატი უნდა იქნას გადიდებული და ან რაიმე წესრიგი დაცული“.

## გერმანიის ამბები

**მანიფესტაციები ბერლინში.**

**ნაუენი.** 5 ივლისი. რესპუბლიკანელების მანიფესტაცია ბერლინში დაიწყეს დილით 4 ივლისს და ჩატარდა მშვიდობიანად. მანიფესტანტები სრულის წესრიგით და დიდი რაოდენობით მივიდნენ კრების ადგილზე. მაღაზიების და კანტორების ნაწილი გაღებული იყო და მუშაობდა. მანიფესტაციის დასრულების შემდეგ ქალაქში მოძრაობა აღდგენილ იქმნა.

**გარდენის მოკვლის გამო.**

**ნაუენი.** 5 ივლისი. პოლიციის კვლევა ძიებამ დაამტკიცა, რომ მაქს გარდენის თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 9 კაცი. თავდამსხმელები ეკუთვნიან იმავე წრეს, რომელსაც ეკუთვნოდნენ რატენაუს მკვლელობა.

**მოიგონეს.**

**ნაუენი.** 5 ივლისი. ბერლინის სამუნიციპალო საბჭომ მიიღო სოციალისტების წინადადება ყველა საზოგადოებრივ ადგილებიდან ჰოგენცოლერნების სურათების ჩამოხსნის შესახებ, რომელიც დღემდის ეკიდა იქ.

**გარდენის ჯანმრთელობა.**

**ნაუენი.** 5 ივლისი. მაქს გარდენის ჭრილობები არ არის საშიში. თავდამსხმელთა შორის არის ყოფილი ლეიტენანტი. თავდამსხმელები მოქმედებდნენ საიდუმლო საზოგადოების ბრძანებით.

**არეულობა მაგდებურგში და კელნში.**

**კრაუდენი.** 5 ივლისი. მაგდებურგში პოლიციამ მოიგერია შეიარაღებულ ჯგუფის თავდასხმა რომელიც ცდილობდა ხელში ჩაეგდო შესანახი კასსა. მოხდა მრავალი დაპატიმრებანი. კელნში პოლიციამ გაფანტა მანიფესტაციები, რომელიც ანადგურებდენ ქანდაკებებს ჰოგენცოლერნების ხიდზე.

**ჰააგის თათბირი.**

**კრაუდენი.** 5 ივლისი. საშაბათს კერძო საკუთრების კომისიის სხდომაზე რუსეთის დელეგაციის თანადასწრებით, თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ ცნობების მიწოდების სიძნელეს, რომელსაც თხოულობდა საბჭოთა დელეგაცია.

**პრესა მომხდარ ამბების შესახებ.**

**ბერლინი.** 25 ივნისი. რატენაუს მკვლელობით მთელი პრესა აღელვებულია. მემარჯვენეთა გაზეთების გამოკლებით, ყველა გაზეთები რატენაუს მკვლელობას მიაწერს მემარჯვენეთ. ყველა იხსენებს გელფერიხის მონარქისტულ სიტყვას რეიხსტაგში, რომელიც თქმული იყო რატენაუს მკვლელობის წინა დღით, როგორც წინასიტყვა მკვლელობისა.

გაზეთები მოითხოვენ, რომ მკაცრი ზომები იქნეს მიღებული დამნაშავეთა მიმართ: ხალხს არ აკმაყოფილებს განსაკუთრებული ზომების მიღება და სამხედრო დღესასწაულთა აკრძალვა. „ფოსიშე ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ დადგა საბედისწერო საათი რეიხსტაგისა და საჭიროა ხელ ახალი არჩევნების დანიშვნა. „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ საკმაო არ არის მუშათა კლასის მიერ დემონსტრაციების გამართვა. საჭიროა განსაზღვრა, თუ რამდენათ ფართოდ შეუძლია მათ მოქმედების გაფართოვება. გაზეთი მოითხოვს დაუყოვნებლივ ფაბრიკა ქარხნების საბჭოების მოწვევას. მემარჯვენეთა შორის საშინელი აღელვებაა ამის გამო.

მემარჯვენეთა გაზეთები რატენაუს მკვლელობას ახასიათებს, როგორც „უცოდეს დანაშაულობას“ და ამით ცდილობს პასუხისმგებლობის მოხსნას. მემარჯვენეების ყოველი სტრიქონიდან გამოკრთის შიში სამოქალაქო ომის აღმოცენებისა და მემარჯვენეთა განადგურებისა.

„ლოკალ ანცეიგერი“ წარმოადგენს ერთად ერთ გაზეთს მემარჯვენეთა წრიდან, რომელიც შესაძლებლათ სცნობს მემარჯვენეთა მონაწილეობას რატენაუს მკვლელობის საქმეში. „ტეგლიხე რუნდშაუ“ აღნიშნავს, რომ რატენაუს მკვლელობა წარმოადგენს რუსეთის მონარქისტების აქტს, რაპალოს ხელშეკრულების ხელის მოწერისათვის.

მემარჯვენეთა დაცვაში პირველობას იჩენს სტინესი და მისი ორგანოს რედაქტორი სოციალისტი ლენშაუ. ლენშაუს მთელი ცდა იმაში მდგომარეობს, რომ ადგილი არ ექნეს ხალხის ღელვას და უკიდურეს აღშფოთებას, იგი უმართებულოდ სცნობს მემარცხენეთა თავდასხმას რეიხსტაგის ბურჟუაზიულ დეპუტატთა მიმართ. იგი აყენებს „ერთიანი პოლიტიკურ ფრონტის“ პლატფორმას.

**უშინაოთ რევოლუციის**

**ჰანოვერი,** 4 ივლისი. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ დღევანდელ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობაში, რეიხსტაგის გაშვება შეიძლება გახდეს კატასტროფიულ მოვლენად. მომხდარმა ამბებმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ბანკის კურსებზე, რომელიც დაეცა ისე, როგორც არასოდეს. ერთ დოლარში იძლევიან 423 მარკას. ყველა პოლიტიკურ წრეებში საშაბათის დემონსტრაციას იწვევს დიდ შიშს. შესაძლებლად სთვლიან, რომ ხელისუფლება გადავა პროფკავშირების ხელში.

**რაპალოს ხელშეკრულება**

**ნაუენი,** 5 ივლისი. 4 ივნისს რეისტაგის სხდომაზე მოხდა რაპალოს ხელშეკრულების რატიფიკაციის კანონპროექტის მეორე და მესამე წაკითხვა.

**საფრანგეთი უკმაყოფილოა**

**ნაუენი,** 5 ივლისი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ ლოიდ ჯორჯმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი გერმანიის ნაციათა ლიგაში მიღებას, ისე რომ წინასწარ არ გაიგო საფრანგეთის აზრი.

**თავდასხმა გარდენზე**

**ნაუენი,** 5 ივლისი. გაზ. „პუკუნფტის“ რედაქტორ-გამომცემელს მაქს გარდენის ბინაზე ბერლინში მოხდა თავდასხმა. იგი თუმცა არა სასიკვდილოდ მაგრამ მძიმედაა დაჭრილი. დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი. მათ აღმოაჩნდათ ყოფილ სალდათ-ნაციონალისტების საზოგადოების მანდატები.

**რატენაუს მოკვლის გამო**

**ნაუენი,** 5 ივლისი. ვარცბურგის უნივერსიტეტის ღვთის მეტყველების ფაკულტეტმა გერმანიის ქრისტიანების ერთი სექციის სახელით დაგმო რატენაუს მოკვლა, განაცხადა რა, რომ „ეს არ არის ქრისტიანული და გერმანული წესი“.

**თავდაცვის და ამნისტიის კანონპროექტები**

**ნაუენი,** 5 ივლისი. რეიხსტაგმა მიიღო კანონ-პროექტები თავდაცვის და ამნისტიის შესახებ 1 ლი 48 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 18 და მეორე 55 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 11-სა. პირველი კანონ პროექტი გულისხმობს ყოფილ სამეფო გვარეულების ყველა წევრთა გერმანიიდან გადასახლებას და მთავრობას ანიჭებს უფლებას გადაასახლოს გერმანიიდან და აუკრძალოს გერმანიის განსაზღვრულ რაიონებში ცხოვრება ყველა გერმანიის მოქალაქეთ 5 წლის განმავლობაში.

**გერმანია და საფრანგეთი**

**ნაუენი,** 5 ივლისი. საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოებმა პარიზში უარი უთხრეს გერმანიის ჟურნალისტებს ცნობების მიღებაში, იმის შესახებ, თუ როგორ ფიქრობს საფრანგეთის მთავრობა გამოიყენოს გერმანელი მუშები საფრანგეთში.

# უცხოეთი

**მუშათა პარტიაში.**

ნაუენი 5 ივლისი. ლონდონის ერთ-ერთ სოციალისტურ გაზეთში, გამოქვეყნებულია პროგრამა მუშათა პარტიისა კაბინეტის მომავალი არჩევნებისათვის. პროგრამაში აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის ცნობა, ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა, მადაროებისა და რკინის გზების ნაციონალიზაცია და საერთო განიარაღება.

**ლიტვის ცნობის შესახებ.**

ნაუენი 5 ივლისი. გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" ეხება ელჩების კონფერენციის გადაწყვეტილებას ლიტვის ცნობის შესახებ და სწერს, რომ ინგლისისა და იტალიის მთავრობები უკვე დიდიხანია მომხრენი იყვნენ ლიტვის ცნობისა, მაგრამ მათ საქმეს უშლიდა საფრანგეთ-პოლონეთის ოპოზიცია.

**მემელის ბედი.**

ნაუენი 5 ივლისი. ელჩთა კონფერენციამ დაადგინა დაარსოს განსაკუთრებული კომისია მემელის ბედის გამოსარკვევად. ვერსალის ხელშეკრულების მე-90 და 99 მუხლების თანახმად, გერმანიამ უარი სთქვა ამ ნავთსადგურზე თავისი უფლებებზე და თანხმობა განაცხადა იცნოს ყველა დადგენილებანი მოკავშირე სახელმწიფოებისა ამ ნავთსადგურის ბედის შესახებ.

**რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ.**

ნაუენი 6 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატების რკინის გზელთა კომპანიამ გამოაცხადა, რომ მიუხედავად სამმართველოს მოსამსახურეების გაფიცვისა როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო მატარებლების მოძრაობა შეჩერებული არ იქნება. მეორეს მხრივ გაფიცვის ხელმძღვანელები სულ წინააღმდეგში არიან დარწმუნებულნი.

**წყნარ ოკეანეს მუშათა კონფერენცია.**

ნაუენი 5 ივლისი. ავსტრალიის მუშათა პარტიის კონგრესმა დაადგინა შექმნას კომისია, რომელიც შეუდგება სამზადისს წყნარ-ოკეანეს მახლობლად მყოფ სახელმწიფოთა მუშათა კონფერენციის მოსაწვევად, კონფერენციაზე უნდა განიხილონ მთელი რიგი საკითხებისა, რომელნიც ამ ქვეყნებს ეხება. კონფერენცია მოწვეული იქნება მომავალ წელში, როდესაც გაიმართება წყნარ-ოკეანე მეცხრე ერთა კონგრესის სხდომები.

**ქალთა შრომის წინააღმდეგ.**

ნაუენი 5 ივლისი. ომის ინვალიდებმა და ვეტერანებმა, რომელნიც მუშაობდნენ გენუის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, მოითხოვეს ქალების დათხოვნა და მათ ადგილას სამსახურში ინვალიდების მიღება. განყოფილების უფროსმა აღუთქვა მათ, რომ იგი ამ მოთხოვნილებას აცნობებს მთავრობას.

**აღმოსავლეთის ეკონომიური კავშირი.**

ანგორა 30 ივლისი. გაზ. „ენი-გიუნი" მოწინავე წერილში „აღმოსავლეთის ეკონომიური კავშირი", შემდეგსა სწერს „ვერც გენუაში და ვერც ჰააგაში რუსეთი, რომელიც რევოლიუციის ავანგარდია, ვერ შესძლებს დაკმაყოფილებელი შეთანხმება შეკრას დასავლეთთან. ჩვენ მომხრენი ვართ ევროპასთან სერიოზული შეთანხმებაზე. უნდა შევქმნათ აღმოსავლეთის ხალხების ეკონომიური მთლიანი ფრონტი. მხოლოდ ამას შეუძლია გამოიყვანოს ევროპა და მთელი ქვეყანაც არსებულ გამოუვალ მდგომარეობიდან. აუცილებელია აღმოსავლეთ ხალხების კონფერენციის მოწვევა, რათა შესაძლებელი გახდეს მთლიანი ეკონომიური ფრონტის შექმნა.

**ამერიკულ დამხმარე კომიტეტის მუშაობა.**

ანგორა 27 ივნისი. ამერიკულ დამხმარე კომიტეტმა გახსნა თავშესაფარი 500 ბავშვისათვის,

**სიკვდილით დასჯის განაჩენი**

მოსკოვი. 4 ივლისი, გაზ. „მატენი" იტყობინება, რომ ბელგრადში მეფეზე თავდასხმის ორგანიზატორს გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი. თანაზიარი მიუსაჯეს სამუდამოდ კატორღა.

**ინგლისის მუშათა შორის**

მოსკოვი. 4 ივლისი, ლონდონში გამართული მელითონეთა ყრილობამ ერთხმად მიიღო რუსეთის შესახებ რეზოლიუცია, რომელიც გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ინგლისის მთავრობამ აღმოუჩინა დამშეულებს ძალიან მცირე დახმარება.

**მეორე ინტერნაციონალის კონგრესი**

მოსკოვი. 4 ივლისი, მეორე ინტერნაციონალის ლონდონის კონგრესის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე გამოვიდა კერენსკი, რომელმაც განაცხადა რომ ის მოვიდა კონგრესზე ესერების დასაცავად, რომელთაც არ ამართლებს ტრიბუნალის სასამართლო. კონგრესმა დაადგინა დაშვებულ იქნას კერენსკი სხდომაზე, მაგრამ არ მიეცეს მას სიტყვა რადგან ის არ არის იმ პარტიის წევრი, რომელიც შედის 2 ინტერნაციონალის შემადგენლობაში.

**პალესტინაში**

მოსკოვი. 4 ივლისი, ოფიციალურად გამოქვეყნდა ჩერჩილის დეპეშა პალესტინის უმაღლეს კომისარის სახელზე გაგზავნილი, რომელიც ხელ-ახლა ადასტურებს ინგლისის 1917 წლის დეკლარაციას იმის შესახებ, რომ პალესტინა არის ებრაელთა ნაციონალური თავშესაფარი. დეპეშა ხაზს უსვამს, რომ არაბეთის მცხოვრებნი არაბული ენა და კულტურა უნდა პოულობენ დაცვას და რომ ყველა მოქალაქეთა მდგომარეობა პალესტინაში უნდა იყოს ერთნაირი. ახლო მომავალში იქნება შედგენილი საკანონმდებლო საბჭო, რომელიც აირჩევა საყოველთაო ხმის მიცემით.

**განიარაღების ნოტის გამო**

მოსკოვი. 4 ივლისი საბჭოთა მთავრობის წინადადებას საბჭოთა რუსეთის და მის მეზობელთა კონფერენციის მოწვევის შესახებ განიარაღების შემცირების საკითხის განსახილველად, პოლონეთის მმართველი წრეები საბოტაჟით უპასუხებენ. ამ უკანასკნელ დღეებში ვარშავის პრესაში დაიბეჭდა ოფიციოზური შენიშვნები, რომელიც სცდილობს ბოლომდე დასკვნები გამოიყვანოს რუსეთის სამშვიდობო წინადადებიდან.

**საკონტრიბუციო კომისიაში.**

კრაუდენი. 5 ივლისი. საკონტრიბუციო კომისია მ მართა ვალების საქმეთა კომისიამ აკრძალვით, საბჭოთა მთავრობისათვის 400 მილ. მარკის მიცემის შესახებ. (საკრედიტო ბილეთებით), რომელიც უკრაინამ შეინახა ბერლინის ბანკებში.

**სხვის ხარჯზე.**

კრაუდენი. 5 ივლისი. სამშაბათს მინისტრთა საბჭომ დაადგინა გადასცეს საკონტრიბუციო კომისიას საფრანგეთის აღმადგენელ მუშაობის პროგრამა, რომელიც უნდა ასრულოს გერმანიამ.

**ლოიკინა მიდის-ოდესმე ხომ მივა.**

ნაუენი. 5 ივლისი. სამშაბათს შეიარაღების შემცირების კომისიაში, რომელიც შეიკრიბა პარიზში, ვივიანის თავმჯდომარეობით, რობერტ სესილმა წარადგინა პროექტი განიარაღების დაჩქარების შესახებ. განიარაღება იქნება გარანტია საერთო თავდაცვის კავშირის მოწყობის დროს.

**დუბლინის მსხვერპლი.**

ნაუენი. 5 ივლისი უკანასკნელ ბრძოლების დასაწყისიდან დუბლინში მოკლულია 60 კაცი და დაჭრილია 200 კაცი.

**იაპონია და ჩინეთი.**

ნაუენი. 5 ივლისი. იაპონიის სახელმწიფო საბჭომ მოიწონა ორივე ხელშეკრულება შანდუნის შესახებ. ხელშეკრულებები ადრევე იყო მიღებული.

# რუსეთი

**მოსავალი**

მოსკოვი, 6 ივლისი. ვოლინის გუბერნიაში მოსავალი საშუალოზე უკეთესია. პოლტავის გუბერნიაში ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წასულ თვესთან შედარებით ორენბურგის გუბერნიაში მოსავალმა დაიკლო მავნეების და სიცხეების გამო. აწეული ჰვავი შეფასებულია ბალით—4,4, გაზაფხულის ნათესები საშუალოზე უკეთესია.

**თივის თიბვა.**

მოსკოვი- როსტოვის რაიონში ბალახის იშვიათი მოსავალია. სთიბავენ მეოთხეჯერ. შეგროვილი საკვები მასალა იკმარებს 5 წლის განმავლობაში.

**სტიქია.**

მოსკოვი 6 ივნისი. კურსკის გუბ. კოროჩანის მაზრაში სეტყვამ დააზარალა 990 დესეტინა ნათესი. სტაროოსკოლსკის მაზრაში გრიგალმა გაანადგურა 500 დეს. და სეტყვამ დააზარალა კიდევ 500 დესეტინამდე.

**სამეურნეო ფრონტზე**

მოსკოვი. 6 ივლისი, ბრიანსკის ქარხანაში მუშათა წარმოება უდრის მშვიდობიანი დროის წარმოების 60-პროც. ცალკე შემთხვევებში ეს წარმოება აღწევს 100-პროც. იანვარში ქარხანაში ითვლებოდა 2800 მუშა, ივნისის დამლევს—7800 მუშა. წლის დამლევამდე მუშათა რიცხვი გაიზრდება 12000 დე.

**პურის სესხი**

მოსკოვი. 6 ივლისი, სახელმწიფო ბანკის როსტოვის განყოფილებამ გაანაღდა 29880 ფუთი პურის სესხი. აღძრულია შუამდგომლობა დამატებით 500 ფუთი პურის სესხის რეალიზაციის შესახებ.

**ებრაელთა სკოლების დახურვა.**

მოსკოვი. 6 ივლისი. ბელორუსიაში დახურეს ებრაელების რელიგიური სკოლები, მასწავლებლები გადაჰყავთ საბჭოთა სკოლებში.

**ბრძოლა ნახნავების დაფარვის წინააღმდეგ**

მოსკოვი 6 ივლისი. დაფარულ ნახნავების ნებაყოფლობით გამოჩენის კვირეული დონის ოლქში წარმატებით ტარდება. ნოვოჩერკასკის რაიონში ორმა სტანიცამ გამოაჩინა 1350 დესეტ. აზოვის რაიონში 5 სტანიცამ გამოაჩინეს 2688 დესეტინა.

**მადლობა დახმარებისათვის.**

მოსკოვი. 6 ივლისი. სათათრეთის რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტის 4 სესიამ სათათრეთის რესპუბლიკის მშრომელთა სახელით გამოუშვა მოწოდება რუსეთის მუშების და გლეხებისადმი, რომელშიაც მადლობას უცხადებს მათ დამშეულ მთესველთათვის დახმარების აღმოჩენის გამო. საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თვისი სოლიდარობა, ურყეველი სიმტკიცე და მუშურ-გლეხური კავშირი.

# ახალი ამბები

— **ვაგონების შეკეთება.** ბათომიდან ტელეფონით იტყობინებიან, რომ სანიტარული მატარებლის № 2 შეკეთება დაწყებულია. მუშაობის დასრულების შემდეგ მატარებელი გადმოიგზავნება ტფილისში.

— **ფოთის ნავთსადგურში.** 1 ივლისს ნავთსადგურში შემოვიდა რუსეთის იალქნიანი გემი „წმ. ნიკოლოზი" 26 ფ. საქონლით; საქართველოს გემი „მერცხალი" ბათომიდან 320 ფ. საქონლით და 5 მგზავრით, ოსმალეთის გემი „კარაბარდირი" 500 ფ. საქონლით და ნორვეგიის გემი „ნოტუზერელი". ამავე რიცხვში ნავთსადგურიდან გავიდა იალქნიანი გემი „ჯილანი" ბათომისაკენ, „სილმეტი" და „წმ. ნიკოლოზი" თრიმჩირისაკენ. „მერცხალი" სოხუმისაკენ „კარაბარდირი" ბათომისაკენ.

— **სოციალურ მდგომარეობის აქტთა ჩაწერა განყოფილებაში.** გასულ თვეში ქალაქის აღმასკომთან არსებულ სოციალურ მდგომარეობის აქტთა ჩაწერის ქვეგანყოფილებებში რეგისტრაციაში გატარდა 512 დაბადება. 176 ქორწინება. 40 განქორწინება, 1 გვარის გამოცვლა 138 გარდაცვალება. ამავე რიცხვებში, დიდუბის და ნაძალადევის სექციაში გატარდა 268 დაბადება, 79 ქორწინება, 10 განქორწინება და 88 გარდაცვალება. ავლაბარ-ნავთლუღის

# გარდამავალი პერიოდი და კოოპერაცია

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პირობები ჩვენში *)

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას მრავალი სახე აქვს. ამ სახეებს წარმოადგენს საკრედიტო კოოპერაცია, საქონლის გამსაღებელი კოოპერაცია, შემსყიდველი ამხანაგობანი, მასალის გადამამუშავებელი და სხ.

თუ როგორი როლის შესრულება შეუძლია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, ამის საილუსტრაციოთ შეგვიძლია ავიღოთ დანია. გვერდი რომ აუაროთ დანიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების განხილვას და აღვნიშნოთ მხოლოდ ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც შექმნილი იყო ომის დაწყებამდე დანიაში, საკმაო საფუძველი იქნება იმ დებულების გასამტკიცებლად, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია სოფლის მეურნეობაში.

ყოველი ასი ძროხიდან დანიაში კოოპერატიულ ამხანაგობათა საკუთრებას შეადგენს 90 ძროხა. ყოველი 100 ფუთე ქონიდან 75 ფუთი ქონი. 100 ღორიდან—51 ღორი, 100 ფ. ღორის ხორციდან 72 ფუთი ღორის ხორცი. 100 ქათმიდან—31 ქათამი, 100 კვერცხიდან—32 კვერცხი. ეს მცირეოდენი ცნობებიც საკმაოა იმის ნათელსაყოფად, რომ დანიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დაეუფლა სოფლის მეურნეობის უდიდეს პროცენტს. აქ კოოპერაციამ წელი გაუმაგრა გლეხს, იგი გაანთავისუფლა ჩარჩებისაგან, გაანვითარა კოლექტიური წესით მასალის გადამუშავება და სხ. ყოველივე ეს მიზეზი გახდა იმ მდგომარეობის, რომ დანიის გლეხი გამაგრდა ეკონომიურად და დანიას სამართლიანად ეწოდა „ბედნიერი გლეხის ქვეყანა.

საფრანგეთში, მიუხედავად სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის განუვითარებლობისა, მაინც 4 000 ზედ ითვლებოდა 1917 წ-ში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სხვა და სხვა ორგანიზაციები.

იტალიაშიაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საგრძნობ ძალას წარმოადგენს, რომელსაც ხელმძღვანელობენ უმთავრესად სოციალისტები.

ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაა. ქალაქის მცხოვრებნი ჩვენში უდრის მცხოვრებთა 17,8 პროცენტს მაშინ, როდესაც ინგლისში ქალაქის მცხოვრებნი შეადგენს 73,5 პროცენტს, ბელგიაში 78.9 პროცენტს, გერმანიაში 60,0 პროცენტს, ამერიკაში 46,3 პროცენტს. გოლანდიაში 40,5 პროცენტს, საფრანგეთში 42,1 პროცენტს და სხ.

საქართველოში, მიუხედავად ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრისა, რომელიც უძვირფასეს მასალას იძლევა თითქმის ყოველი დარგის წარმოების განვითარებისათვის, მცხოვრებთა უმრავლესობა მაინც მიწის მუშაობით და სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს.

ჩვენი ქვეყნის ბუნება ჯერ კიდევ ფეოდალური უმანკოებით არის დაცული და მას არ შეხებია კაპიტალისტური წარმოების გიგანტიური ხელი, რომელსაც შეეძლო კვამლით გაერუჯა ხავერდოვანი დასავლეთი საქართველო და მრეწველობის ქსელით დაესვრა მოლუშული მიდამო აღმოსავლეთი საქართველოსი. რამდენადაც საერთოდ ქვეყნის ეკონომიური აღორძინების თვალთახედვით ასეთი მდგომარეობა არ არის სასურველი, იმდენად მეორე მხრით, კოოპერაციის განვითარებისათვის ჩვენში ფართო ასპარეზი იშლება, რადგან კაპიტალისტური მეურნეობისაგან არ არის აღებული თითქმის არც ერთი დარგი ჩვენი მეურნეობისა. (ხადზედ უცხადესია, რომ ჩვენში ტრესტების მეფენი რომ ბრძანებლობდნენ ამერიკელი როკფელერისა, შვაბისა და სხვათა მგზავსად, მაშინ კოოპერაციისათვის მეტად ცუდი პირობები იქნებოდა შექმნილი და იგი ვერც შესძლებდა ეა იმე მნიშვნელოვანი როლის შესრულებას.

ჩვენში კი, როგორც აღვნიშნეთ, კაპიტალისტური მეურნეობა არ განმტკიცებულა და მით უფრო სასოფლო მეურნეობა სავსებით გარეშე სდგას კაპიტალის ზემოქმედებისა.

ჩვენი გლეხი დღეს, უკვე უაღრესად განვითარებული ტეხნიკის საუკუნეში, ადამისეულ სახნისით ჩიჩქნის მიწას, მამა-პაპური ბარი და თოხი უჭირავს ხელში და თავისი შრომის ნაყოფს ადგილობრივ ჩარჩს აწვდის ჩალის ფას და თვითონ შრომობს თითქოს იმისათვის, რომ ამას საჭიროებს ჩარჩების გაუმაძღარი ჯიბე.

სამეურნეო იარაღთა განუვითარებლობით, მიუხედავად ნიადაგის ნაყოფიერებისა ჩვენში დესიატინა მიწა იძლევა საშუალოდ 50—57 ფუთ პურს მაშინ, როდესაც პოლონეთში დესიატინა იძლევა 65—70, იტალიაში 57—60 ფ. რუმინეთში 75 ფ. უნგრეთში 80 ფ. საფრანგეთში 90 ფ. გერმანეთში 134 ფ. ბელგიაში 161. ფ. დანიაში 183 ფუთს და სხ.

ასეთივე მდგომარეობაა უფრო მაღალი კულტურის დარგშიაც. მევენახეობას საქართველოში საუკეთესო პირობები აქვს ბუნებრივად. ვენახის ბაღები კი მეტად მცირე რაოდენობის ღვინოს იძლევა, ვიდრე ეს შესაძლებელია ჩვენს პირობებში. ღვინის დამუშავებაც მეტად დაბალ დონეზედ სდგას და ამიტომ ჩვენი ღვინისათვის მსოფლიო ბაზარი უმეტესად დაკეტილია.

ჩვენ არ შევუდგებით იმის დეტალურად განხილვას, თუ რამდენი შეიძლება იყოს პურის მოსავალი ჩვენში, ვიტყვით მხოლოდ, რომ არსებულ პრიმიტიულ იარაღების საშუალებით წარმოებული სოფლის მეურნეობის დროს დეფიციტი წლიურად უდრის 3—4 მ. ლ. ფ. პურს მაშინ, როდესაც სულ ქვეყნის გამოსაკვებად საჭირო იყო დაახლოვებით 41.500.000 ფუთი პური. თუ სასოფლო მეურნეობაში შეტანილი იქნება მაღალი კულტურა ცხადია, რომ ჩვენ შეგვეძლება პური საგარეო ბაზარზედაც გავიტანოთ.

აღსანიშნავია თამბაქოს კულტურაც, რომელსაც 1914 წ. ეჭირა 15 000 დეს. მიწა. აქაც დამუშავება არ არის ჯეროვანი და ამის გამო თამბაქოს კულტურა, რომელსაც შეუძლია დიდი წყარო გახდეს შემოსავლის, მოითხოვს დიდი შრომის გაწევას.

მებაღეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ძვირფასი მცენარეების კულტურა, მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა მრავალი დარგი დღეს ვერ იძლევა საკმაო შედეგებს და ამის უმთავრესი მიზეზია, რომ არ არის სასოფლო მეურნეობა განვითარებული. ერთად ერთი გზა კი ამ განვითარებისაკენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გზაა. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები, რომლის სქემატიური კონტურის დასახვაც კი შეუძლებელია გაზეთის ფურცლებზე, საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ფართოდ განვითარებას შეუძლია საქართველოში მოახდინოს ჭეშმარიტი რევოლიუცია და ჩვენი ქვეყანაც, მსგავსად დანიისა, გახადოს „ბედნიერი გლეხის" ქვეყანად.

როდესაც ასეთია საქმის ვითარება, ფრიად საინტერესო საკითხი ისმის ჩვენს წინაშე: როგორი უნდა იყოს სახელმწიფოსა, სოციალისტური პარტიებისა და კოოპერაციის ურთიერთობა?

ამ საკითხის შესახებ მეტად ცხოველი კამათი იყო გამართული პოლიტიკურ პარტიებს შორის. ინგლისის, გერმანეთის, შვეიცარიის და ზოგიერთ სხვა ქვეყნის კოოპერატორები უარყოფდნენ სახელმწიფოსი და საერთოდ პოლიტიკური ორგანიზაციების ჩარევას კოოპერაციის საქმეში, კოოპერატიულ მოძრაობაში. ისინი პრინციპიალურად იდგენ კოოპერაციის ნეიტრალიტეტის ნიადაგზე. საფრანგეთში, ბელგიაში და იტალიაში კოოპერატივებს ხელმძღვანელობდა პოლიტიკური პარტიები.

ამ საკითხს, თავის თავად არა აქვს დიდი პრინციპიალი საკითხის ხასიათი რამდენადაც კოოპერაცია შეიძლება დავსახოთ „სოციალიზმის სკოლად", რომელიც ხელს უწყობს სოციალისტური კულტურის განხორციელებას, იმდენათ კოოპერაციას აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც მშრომელთა ხელისუფლებამ, აგრეთვე სოციალისტურმა პარტიებმა. ამ მხრივ ჩვენში განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო, სახელმწიფომ ყოველ მხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინოს საერთოდ კოოპერაციას და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

გლეხის მეურნეობას დიდათ ხელს შეუწყობს აგრარული რეფორმა, რომელიც დღეს ტარდება ჩვენში, მაგრამ მას ვერას უშველის მარტო მიწა.

სახელმწიფომ თავს უნდა იდვას სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აყვავება, რისთვისაც საკმაო ბუნებრივი მასალაა ჩვენში.

რა თქმა უნდა ამ დიდ საქმეებისათვის თვეები და წლებიც არ კმარა, საჭიროა ათეული წლების მუდმივი, დაუღალავი მუშაობა, თავგანწირული ბრძოლა, რომ ჩვენი სასოფლო-მეურნეობა ამაღლდეს და მასსიურად მოახდინოს იმ სიმდიდრის უტილიზაცია, რომელიც დღეს თითქმის გამოუსადეგარია.

კოოპერაციის ისტორიამ არ იცის გიგანტიური ნახტომები. საჭიროა თანდათანი განვითარება კოოპერაციისა. ჩვენში ამისათვის არსებობს ობიექტიური პირობები. კაპიტალიზმი არ შეჭრილა წარმოების ციხე სიმაგრეში, სასოფლო-მეურნეობის სიდიდე საუკეთესო ბაზაა კოოპერაციისათვის, საჭიროა მხოლოდ მუშაობა, მუშაობა და კვლავ მუშაობა.

*) „ტრიბუნის" № 236 მორიგი წერილის სათაური იყო „მუშათა პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების მნიშვნელობა". უნდა ყოფილიყო „კაპიტალისტური მეურნეობა და კოოპერაცია", რომელიც გაშვებულია სადისკუსიოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექციაში გარდაიცვალა 82 ქალი, 395 ქორწინება, 6 განქორწინება, 58 გარდაცვალება.

— **ცეცხლი.** გასულ თვეში ტფილისში ადგილი ქონდა 22 ცეცხლის გაჩენას, მათ შორის 1 იყო დიდი.

— **წვიმები.** ამ ბოლო ხანებში საღამოობით ტფილისში ძლიერ გახშირდა დიდი წვიმები. გადიდებულმა ნიაღვარმა მრავალი ქვიშა და ტალახი ჩამოიტანა მთ. წმიდის გორებიდან და მრავალი ქუჩები გააფუჭა. დღე ტფილისში სიცხეებია.

— **ტრამვაის ელექტრო სადგური.** 18 წლის მუშაობის განმავლობაში ეს სადგური პირველად შეამოწმეს სპეციალისტებმა ამ დღეებში ქალ. ამიერ კომის მინდობილობით. მოახდინეს ტეხნიკური გამოცდა საორთქლე ქვაბებისა, მანქანების და აგრეთვე ანალიზი სასაქმლე ძალის გაზებისა. ვინაიდან ამ 18 წლის განმავლობაში არ მოეხდარა კაპიტალური რემონტი სადგურზედ, ამიტომ, როგორც კომისიამ გამოარკვია, ქვაბების და მანქანების სასარგებლო მუშაობის კოეფიციენტი ისე დაბალია, რომ კილოვატ საათზე იხარჯება 4 გირ. მაზუთი. ე. ი. ნორმალ გასავალს აღემატება ორნახევარჯერ! სადგური დღიურად ნთქავს 700 ფუთ მაზუთს! კომისიამ შეიმუშავა ზომები ხარჯების შესამოკლებლად და ქვაბების სასარგებლო მუშაობის კოეფიციენტის ასაწევად.

— **ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის დაარსება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სანიტარულ ეპიდემიურმა კოლეგიამ, განიხილა პროექტი მთავარი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის რეორგანიზაციისა და საჭიროდ სცნო ლაბორატორიის არსებულ სამ განყოფილების —კლინიკურ-დიაგნოსტიურს, სავაქცინოს და მეცნიერ გამოკვლევისა—დაემატოს სამი ახალი განყოფილება: სეროლოგიური, სამ ლიარიო და ტროპიკულ ავადმყოფობათა. ამ განყოფილებათა დაარსების შემდეგ ლაბორატორიას ეწოდება ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი.

ლაბორატორიის გამგეს, ექიმ ელიავას მიენდო წარმოადგინოს პროექტი წიგნთსაცავის, მომავალ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტთან.

## სამხატვ. ქრონიკა

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** კვირას ივლისის 9-ს. დილის 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 13), მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც პროფ. ი. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „საქართველოს შინაური და საგარეო მდგომარეობა მე-XVI-ე საუკუნის მეორე ნახევარში“ (გაგრძელება). კრებაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიათ.

## პარტიაში

პარასკევს, ივლისის 7-ს საღამოს 7 საათზე „ტრიბუნას“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

—

— **არჩილ ჯორჯაძის სურათები.** დამზადებულია გულზე საკარებლად ემალის სურათები არჩილ ჯორჯაძისა, რომლის მიღება შეიძლება პარტიის მთავარ ბიუროს ბინაზე საქალაქო კომიტეტის მდივანთან და გაზ. „ტრიბუნას“ რედაქციაში.

—

**მბეჭდავების კრება.** სამშაბათს, ივნისის 4 ს, ს-დ. ბიუროში შესდგა მემარცხენე ეს-ერ მბეჭდავ მუშების პირველი საორგანიზაციო კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა სამი ამხანაგისაგან შემდგარი ფრაქციის პრეზიდიუმი. ამის შემდეგ კრებამ დაასახელა ფრაქციის კანდიდატები სრულიად საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების ცენტრალურ გამგეობაში, რომელიც უნდა არჩეულ იქმნას ხსენებულ წარმოების მუშათა სრულიად საქართველოს მომავალ ყრილობაზე.

## ნინო ჩხეიძის გასტროლი

ივლისის 9 ს. რუსთაველის თეატრში, ჩვენი სცენის საუკეთესო მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის გასტროლი გაიმართება. ნინო ჩხეიძის პიროვნება იმდენად მეტყველია თავის თავად და იმდენად პატივცემული ჩვენი საზოგადოების მიერ, რომ ამის შესახებ ბევრი ლაპარაკი და პატივისცემა საჭირო არ არის.

აღსანიშნავია სხოლოდ ის სამწუხარო ფაქტი, რომ ქ-ნ ნინო ჩხეიძე მეტად იშვიათი მოვლენა გახდა ჩვენი დედაქალაქის სცენაზე. ქართველ საზოგადოებას ნინო ჩხეიძე არ უნახავს ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს სცენაზე და ეს დიდი დანაკლისი იყო ტფილისის სცენისათვის. 9 ამ თვეს, ისევ გვეძლევა შემთხვევა კვლავ ვიხილოთ ჩვენი საყვარელი მსახიობი ჩვენი სცენის დამამშვენებელი ქალი თავის საყვარელს მარგარიტა გოტიეს როლში.

ვფიქრობთ, რომ ქ-ნ ნინო ჩხეიძის გასტროლი თავის თავად იმდენს ლაპარაკობს, რომ ჩვენი საზოგადოება არა მარტო ესტეტიური კმაყოფილებისათვის გაეშურება თეატრისაკენ—ქ-ნ ნინოს პატივისცემისათვისაც.

ფრიად სასურველია, რომ ქ-ნი ნინო ჩხეიძე თუ მასპინძელი არ იქნება დედაქალაქის სცენის, ხშირი სტუმარი, მაინც შეიქმნეს,

ხ. კ.

---

პირველ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გარდამავალ პერიოდში მთელი სიმძიმე ეკონომიური პოლიტიკისა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს კაპიტალისტური მეურნეობის დეგრადაციას და მაქსიმალურად დაამკვიდროს სოციალისტურ პრინციპებზე აღმოცენებული მეურნეობა. კოოპერაციის შინაბისა და ჩვენი ქვეყნის სპეციფიური პირობების აღნუსხვას შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია კოოპერაცია დავსახოთ დიდი ყურადღების საგნად ჩვენში.

დღეს ჩვენ წინაშე არც კაპიტალიზმია და არც სოციალიზმი ლენინა სამართლიანად ამბობს, სოციალისტური რესპუბლიკის სახელწოდება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უკვე სოციალიზმში ვიმყოფებით, გოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მივდივართ სოციალიზმისაკენ და მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება მიმართულია ამ უმთავრესი მიზნისაკენ. როდესაც ასეთია ფაქტიურად ძალთა განწყობილება სამეურნეო ორგანიზაციათა შორის, აქედან აშკარათ ისახება ისეთი ელასტიური სამეურნეო ორგანიზაციის ფორმა, როგორსაც წარმოადგენს კოოპერაცია.

ამიტომ კოოპერაციის ფართოდ განვითარებისა და გაფართოებისაკენ უნდა იყოს მიმართული მშრომელთა ხელისუფლების პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში.

ხერ. ამაღლობელი.

---

## ახალი მუშა

მე მუშა მქვიან და ამ მკლავებში
ვგრძნობ ძლიერებას უზენაესის,
ბრძოლის მორევში მედგრად ჩავეშვი
და დავიმონე ამაყი ზევსი.
განვაგრძობ წინსვლას ძლევისა გზაზე,
და ვიმორჩილებ თვით მარმენიოს,
ნებას არ ვაძლევ თავის ჰკუაზე
კვლავ მაჩანჩალოს და მარბენიოს.
ის მუშა მოკვდა, ვინც მონად გყავდათ,
ვინც რომ დაგყავდათ ჩაფხუტ-კოხუნჯით,
ის მუშა მოკვდა, ვისაც ურტყამდით,
ის კი ითმენდა და იყო მუნჯი.
დღეს ახალ სახეთ ახალი ტყეა,
ლომის თათები აწმყოს ჩავჰკიდეთ,
ჯაჭვათ ავასხით დამდნარი ტყვია,
და გადვისროლეთ უფსკრულზე ხიდეთ.
კიჟინ-ხმაურით, ცეცხლის რკალებით,
ამართულ ზღუდეთ ავლესავთ გუნდათ,
ნურვის გონია დავიღალებით,
ჩვენ წართმეული მივიღოთ უნდა.
ვსროლილობთ ლოზუნგს ამაყს და ზვიადს,
ავხლართავთ მავთულს, დავამსხვრევთ ხარეს,
ფოლადის მკერდით გავარღვევთ წყვდიადს
და გამოვანგრევთ ევროპის კარებს.
ამბოკარები გვიცნობს თავის ძმებს,
რომ კვალად ჩაგვრა არ განმეორდეს,
და უბოდიშოდ გავხდით ხელთათმნებს,
აფრანტულ დენდებს, თავადებს, ლორდებს,
ნამსხვრევად ვაქცევთ ძვირფას ლარნაკებს.
ბროლისა კოშკებს ათლილ ლორფინებს
გარედ გავისვრით ხალებს და ნაგებს,
რომ მტვრიანი ქუჩა მოვფინოთ.
მაშინ კი, მაშინ გავიხდით ბეგთარს,
გვერდზედ გადავდებთ ხმალ-ლიბანდაკებს,
მწარე სამსალას აურევთ ნექტარს,
და ფერად დროშებს ავაქანდაკებთ.
მე მუშა მქვიან და ამ მკლავებში
ვგრძნობ ძლიერებას უზენაესის,
ბრძოლის მორევში მედგრად ჩავეშვი,
და დავიმონე ამაყი ზევსი.
განვაგრძობ წინსვლას ძლევისა გზაზე,
და ვიმორჩილებ თვით მარმენიოს,
ნებას არ ვაძლევ თავის ჰკუაზე,
კვლავ მაჩანჩალოს და მარბენიოს.

1917 წელი. საფო მგელაძე.

---

## საჭიროა ყურადღება

როდესაც ლაპარაკი გვაქვს ცხოვრების ავ-კარგიანობის შესახებ, როდესაც ანალიზს ვურშვებით ჩვენს აწმყოს და მისგან ერთგვარი დასკვნა გამოგვაქვს—რომ თვალთახედვითი ისარი სწორი და მართალი იყოს, აუცილებლად საჭიროა გავითვალისწინოთ, შევიგნოთ ის პირობები, რომლებიც იყო ან არის მიზეზი ჩვენი ახლანდელ სინამდვილისა.

ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ გარდამავალ პერიოდში, როდესაც ერთი მეორეს უპირისპირდება ორი სამყარო და მათ შორის ბრძოლაა, გამართული, ვინაიდან ერთის არსებობა ამავე დროს განადგურებას უქადის, შეუძლებელია მყუდრო, ნორმალური და დამშვიდებული შემოქმედებითი მუშაობის წარმოება.

ცხადია, დეფექტებს, რომლებიც თანამგზავრია ასეთი დიდი პროცესისა, ადგილი ექნება სახელმწიფოებრივი მაშტაბით.

მაგრამ საუბედუროდ არსებობს ჩვენში დეფექტები, რომლებიც სრულებით არ არის დამოკიდებული ამ ორ ძალთა ჭიდილთან, აქ ადგილი აქვს ვიწრო შინაურულ მოუწესრიგებლობას, უთადარიგობას და დაუდევრობას.

მე მოგახსენებთ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს და ფრიად მნიშვნელოვან დაწესებულებას—სახ.—სამ.—საზ. კომისარიატის ეკონომიურ ცხოვრების მხარის შესახებ, —იმ მხარის, რომელიც საერთოდ ასე მწვავედ არის წამოჭრილი ყოველი ჩვენთაგანის წინაშე და რომლის მოგვარება ამასთან ერთად, მართალია, ერთ უძნელეს საქმეს წარმოადგენს მაგრამ მთელი ჩვენი ენერგია და მიწრაფებები უნდა იყოს მიმართული იქითაკენ, რომ ვსძლიოთ ეს დაბრკოლებები და სიძნელე. ხსენებულ კომისარიატს დადებითი მხარეებთან ერთად უარყოფითიც აქვს: ამ უკანასკნელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ჯამაგირის დარიგების მოუწესრიგებლობას, ამ ნიადაგზე მრავალ უსიამოვნებებს და უკმაყოფილებას აქვთ ადგილი.

ყველას კარგად უწყის თუ რა მცირე ჯილდოს ღებულობენ სამხ. მოსამსახურენი და იმასაც ერთი და ორი თვის შემდეგ; ამ ხნის განმავლობაში კი თანამშრომელნი, უსახსრობისა გამო იძულებულნი არიან გაიტანონ ბაზარზე ცხოვრებისათვის აუცილებელი საჭიროების ნივთები, გაყიდონ და მით გამოკვებონ ოჯახი. ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, მაგრამ ეს იმდენად სამწუხარო არ არის, რამდენად ის გარემოება, რომ უკვე შტაბში მოსამსახურეებისათვის მიღებული ჯამაგირი, რომელიც კომისარიატის სალაროში არის, არ ურიგდება თანამშრომლებს და სხვა დანიშნულება ეძლევა. სამწუხაროდ ასეთი მაგალითები ხშირია. საილიუსტრაციოდ მოგვყავს ზოგი მათგანი. მაგ. მაისის ჯამაგირიდან დაახლოვებით ივნისის შუა რიცხვებში მხოლოდ ნახევარი მივიღეთ, მეორე ნახევარი კი ტანისამოსის შეკერვის ფულად გადაიხადეს.

5—6 თვე იქნება მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ განათების ფული დაგვრიგებოდა; გადაწყვეტილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. სათანადო უწყება ფულს გვთხოვს, სხვა დაწესებულებებში, დიდი ხანია დაკმაყოფილებული არიან—მოსამსახურენი.

ახას წინად მიღებული იყო ე. წ. წითელ არმიელთა ოჯახის სოც. უზრუნველყოფის ფული, რომელიც მხოლოდ ზოგიერთებმა მიიღეს, დანარჩენი კი რამოდენიმე პირებს ისიც უფროსებს დაურიგდათ. ეს უკანასკნელი გარემოება აღშფოთებას იწვევს მოსამსახურეებში, რომელნიც განიცდიან რა დიდ მატერიალურ სივიწროვეს არ არიან დაკმაყოფილებული რამოდენიმე თვის ფულით მაშინ, როდესაც ზოგიერთ უფროსებს არა თუ ახლანდელი, არამედ მომავალი თვისაც კი აღებული აქვთ.

ყოვლად დაუშვებელია ასეთი საქციელი საერთოდ და მით უფრო საბჭოთა ძალა-უფლების დროს, რომლის ცნება უნდა იყოს სამართლიანობისა და წესიერების დაცვა. კანონად უნდა იყოს მიჩნეული, რომ ფული, ჯამაგირია იგი თუ სხვა სახის თანხა, აუცილებლად თავის დანიშნულებას უნდა ემსახურებოდეს და ადგილი არ უნდა ექნეს თვით მომარაგებას. თუ დროზე არ განიკურნა დაწესებულებები ასეთ სენიდან, ის სისტემატიურ ხასიათს მიიღებს და ეს სახელმწიფოებრივ აპარატშიც დეზორგანიზაციას შეიტანს.

გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ერთი ფრიად სამწუხარო ფაქტი, რომლის შესახებ არა ერთხელ და ორჯერ [illegible] რილა პრესაში, მიუხედავად [illegible] კიდევ საქ. [illegible] კომის და თვით შტაბში არსებულ ბრძანებისა, სახელმწიფო ენა მაინც ვერ სდგას თავის სიმაღლეზე.

არის ისეთი განყოფილებანი, სადაც, მიუხედავად იმისა მოსამსახურენი ყველა ქართველებია და თვით ის უწყებანი, რომ რომლებთანაც მათ უხდებათ ურთიერთობა, ქართულია, საქმის—წარმოება მაინც რუსულ ენაზე სწარმოებს.

დროა შევიგნოთ, რომ საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც მშობლიურ ენას პირველობა და უპირატესობა უნდა ქონდეს მინიჭებული. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექციოს ასეთ ანნორმალურ მოვლენებს ვისგანაც ჯერ არს და ბოლო მოუღონ იმ უსიამოვნებას, რომელსაც ადგილი აქვს ხსენებულ კომისარიატში. მარტო სიტყვები და განცხადებანი საკმარისი არ არის. სიტყვებს საქმეც თან უნდა ახლდეს და მხოლოდ მაშინ შეიძლება საერთოდ შემოქმედებითი მუშაობის წარმოება და კერძოთ ჩვენი კომისარიატის გაჯანსაღება.

ჰოკნარელი.

## მთიელთა რესპუბლიკა

**კავკავი.** 3 ივლისი, მთიელთა საბჭოთა სოც. რესპუბლიკის კონსტიტუციის მეექვსე მუხლის შეცვლის შესახებ, ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა ადგილობრივ მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ნორმების პროდუქტების განაწილების დროს, მთიელთა რესპუბლიკის მოთხოვნილებანი პირველ რიგში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

ივნისის დასაწყისში საჩეჩნეთში გამოჩნდა კალია კალიის გაჩენა შემჩნეულია აგრეთვე ყაბარდოს რაიონში. საჩეჩნეთის მიწათ-მოქმედების განყოფილების მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები კალიასთან ბრძოლის ორგანიზაციისათვის. მთიელთა რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ გაგზავნილია სპეციალური ინსტრუქტორები იმ რაიონებში, სადაც კალია გაჩნდა, სუნჟეს ხაზზე მთებში გაჩნდა კალია დიდი რაოდენობით. კალიას მოსასპობად არავითარი ზომები არ არის მიღებული,

— მთიელთა რესპუბლიკის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა. დაიწყოს პურის სესხის სააგიტაციო კამპანია. ყველა კავშირებს წინადადება მიეცათ რაც შეიძლება ყველა თავისუფალი თანხები და საურთიერთო დახმარების კასის საშუალებანი მოახმარონ ობლიგაციების შეძენას.

— მთიელთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შემოღებულ იქნეს მთიელთა რესპუბლიკის საზღვრებში თავისუფალი სახელმწიფოებრივი დაზღვევა ხანძრისა და სიცოცხლისა.

— სტატისტიკურ ცნობების თანახმად მთიელთა რესპუბლიკაში ირიცხება სულ 73460 ცხენი.

## სახალხო კომისართა საბჭოში

**სასინჯო პალატა.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, სასინჯო პალატა გადასულია ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში. ამ ჟამად აღნიშნული კომისარიატი შუამდგომლობს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შესწორებულ იქმნას სასინჯო პალატის წესდების ზოგიერთი მუხლი, მაგ. მე-60, 61, 62 მუხლებით გათვალისწინებული ჯარიმა ნაანგარიშევი იქმნას ოქროს კურსით, აკრძალულ იქმნას სასინჯო პალატის უდაღოთ ოქრო-ვერცხლის ხაზლარის ბაზარზე გამოტანა და დაარსებულ იქმნას საექსპერტიზო ორგანო ამ ნიადაგზე მოსალოდნელ დავის გამოსარკვევად.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი შუამდგომლობს აგრეთვე შემცირებულ იქმნას სასინჯო გადასახადი ოქრო-ვერცხლის ნაწარმოებზე, ვინაიდან უკანასკნელად გადასახადის გადიდება მოხდა იმ დროს, როდესაც ოქრო-ვერცხლი მეტად ძვირად ფასობდა. ამ ჟამად კი ოქროს ფასმა

შესამჩნევად დაიწია და გადასახადის ძველი სახით დატოვება შეუძლებელია.

**საავადმყოფო გადასახადი.** ვინაიდან გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს ჯანმრთელობისა და განათლების სახალხო კომისარიატთა განკარგულებით დაკისრებული აქვს ჯანმრთელობისა და სკოლების საჭიროებისათვის მთელი სამეურნეო ხარჯების გაწევა და აღმასკომს კი ამისთვის არავითარი საშუალება არ მოეპოვება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შუამდგომლობს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა უფლება მიეცეს გორის მაზრის აღმასკომს შეკრიბოს სპეციალური საავადმყოფო გადასახადი, რომლის ორი მესამედი მოხმარდება ჯანმრთელობას და ერთი მესამედი კი სწავლა-განათლების საქმეს.

**პოლონელ მუშათა კლუბი.** 9 ივლისს გაიხსნება რეუტოვის ქუჩაზე პოლონელ მუშათა კლუბი. კლუბის მიზანია პოლონელ მუშათა კულტურულად გათვითცნობიერება და მათ შორის კომუნისტურ იდეების გავრცელება. აღნიშნული კლუბი შუამდგომლობს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, აღმოეჩინოთ მათ ერთდროული დახმარება 25 მილიონი მანეთის გაღებით, ან და მიეცეთ მათ შესაფერისი სესხი.

# ეკონომიური ცხოვრება

**ფასების ცვალებადობა ამიერ-კავკასიასა და საბჭოთა რუსეთში.**

ფასების ანალიზის დროს ამიერ-კავკასია უნდა განხილულ იქნეს ცალცალკე რაიონებად,—საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი თავიანთი განსაკუთრებული სამეურნეო ორგანიზაციებითა და ფინანსიური სისტემით. საბ. რუსეთის რაიონებშიც სხვა და სხვა გვარია სამეურნეო ცხოვრება და მისი დონე, მაგრამ იქ არ არის ისეთი დიდი განსხვავება ფასებსა და მის ცვალებადობაში, როგორც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებშია. საბ. რუსეთის სხვა და სხვა რაიონებისათვის ფასების ინდექსი აპრილის პირველისათვის იქნება შემდეგი, თუ პირველ იანვრისათვის მივიღებთ 100.

| რაიონები. | 1 იანვარი | 1 აპრ. |
|---|---|---|
| კირგიზრესპუბლიკა | 100 | 419 |
| ციმბირი — — | 100 | 481 |
| სამხრეთ-აღმოსავლ. | 100 | 1128 |
| ჩრდილო-დასავლეთი | 100 | 1180 |

ამიერ-კავკასიის სავაჭრო კომისარიატის მიერ შემუშავებული სტატისტიკის მიხედვით, ტფილისში ინდექსი გამოანგარიშებულია 47 საქონლის ფასებით, რომელიც გაყოფილია სამ ჯგუფად: 1) სურსათ-სანოვაგე; 2) ნედლი მასალა და მატერიალი და 3) ფაბრიკატები. ნახევარი წლის განმავლობაში ყველაზე უდრო მეტი ინდექსი იყო თებერვლის 8.ს, როდესაც ძლიერ აიწია საქონლისა და ვალუტის ფასებმა, 8 თებერვლიდან ინდექსმა საერთოდ თანდათან დაიწია, და 28 ივნისათვის საერთო გაძვირება, იანვართან შედარებით, სურსათ-სანოვაგის ჯგუფისათვის შეადგენდა 69 პროც., ყველა საქონლისათვის — 53 პროც. ოქროს თუმანეთიანი, რომლის ინდექსი 8 თებერვალს უდრიდა 343, თებერვლის 26-სათვის იყო 81.

ფასების ცვალებადობას ტფილისის ბაზარზე დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან.

| ინდექსი სურ- | 2 იან. | 8 თებ. | 20 ივნ. |
|---|---|---|---|
| სათ-სანოვაგის — | 100. | 286. | 159. |
| მატერიალის და ნედლი მასალის — | 100. | 195. | 156. |
| ფაბრიკატების — | 100. | 256. | 113. |
| საერთო ინდექსი. — | 100. | 257. | 153. |
| ინდექსი ათ მანეთიანი ოქროსი — | 100. | 343. | 80. |

ამ გვარად, ფასები ტფილისში იანვრიდან გაძვირდა საქონელზე მხოლოდ ერთნახევარ ჯერ, ათ მანეთიან ოქროზე კი დაეცა ერთი მეოთხედით.

ბაქოში ფასები საქონლისა და ათ მანეთიან ოქროზე შეუჩერებლივ გაიზარდა: საქონლის ფასები, თითქმის 7 ჯერ, ათ მანეთიანი ოქრო 6 ნახევარ ჯერ.

ერევანში ნახევარი წლის განმავლობაში ფასები ბაქოზე უფრო გადიდდა. საქონლის ინდექსმა ივლისში მიაღწია 2,260 დე, ათ მანეთიანი ოქროსი კი—1,760. სხვა სიტყვებით, ერევანში ფასები საქონელზე იანვრიდან გაძვირდა—22 ნახევარ ჯერ, ათ მანეთიან ოქროზე კი 17 ნახევარ ჯერ.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვაძლევს შედარებით სურათს ინდექსის ცვალებადობის შესახებ ამიერ-კავკასიასა და მოსკოვში ნახევარი წლის განმავლობაში:

| | ტფილისი. | ბაქო. | ერევანი. | მოსკოვი. |
|---|---|---|---|---|
| 1 იანვარი — | 100 | 100 | 100 | 100 |
| თებერვალი — | 198 | 217 | 256 | 254 |
| მარტი — | 183 | 310 | 501 | 508 |
| აპრილი — | 185 | 402 | 875 | 967 |
| მაისი — | 159 | 560 | 1333 | 1675 |
| ივნისი — | 163 | 693 | 2260 | — |

ასეთია საბჭოთა რესპუბლიკებში ფასების ცვალებადობის სურათი.

# ბრძოლა სიმშილობასთან

**საქართველოში დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის მუშაობის მოკლე მიმოხილვა დაარსებიდან ს. ა. წ. 20 ივნისამდე.**

საქ. რევოლუციონური კომიტეტის 10 თებერვლის დადგენილებით, დაარსდა დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. მოგვყავს ამ კომიტეტის მოქმედების მოკლე ანგარიში.

კომიტეტის მუშაობა და მოქმედება მეტად რთულსა და ძნელს პირობებში ხდებოდა. მიღებული იყო მრავალგვარი ზომები ხორბლის შესაძენად. დამშეულთა რაიონები თანდათან გაიზარდა და დას. საქართველოს გარდა, აღმოსავლეთ საქართველოშიაც მოუხდა კომიტეტს დახმარების აღმოჩენა.

ეხლა თუ გადავავლებთ მთავარ კომიტეტის პრაქტიკულ მუშაობის დასაბუთებაზე, ის ა. წ. 10 თებერვლიდან—ამ წლის 20 ივნისამდე, გამოიხატება შემდეგნაირად:

**შემოსავალი:**

1) სამდღეულობის მოწყობისაგან სხვა და სხვა შემოწირულებანი ფულით ნივთებით და სხვა სახით

| | |
|---|---|
| შემოვიდა . . . | 2.883.125.000 მ.ნ. |
| 2) სხვა და სხვა გადასახადებისაგან . . | 1.504 833.000 მ.ნ. |
| სულ: | 4.387 958 000 მან. |

ამათში არ შედის ბათუმის ოლქის და აჭარისტანის მიერ შეგროვილი შემოწირულებანი, რომლის ანგ-ში ცალკე იქნება გამოცხადებული. ამას გარდა სურსათით შემოსულია შემდეგი:

შემოწირული: სახ. სას. კომისარიატიდან . . . სიმინდი 2 ვაგონი
ამიერკ. კომიტ. ბრინჯი 7 „

სულ: . . 9 ვაგ.

შესყიდულია: „ოპინვნეშტორგისაგან" სიმინდი 100 000 ფუთი.
თვისვე ნაწარმოებელი ცენტრ. სიმინდი . . 29.201 „ 25 გ.
კოოპერატიული ცეკავშირისაგან სიმინდი 9 652 „
მოქ. ვესაძისაგან სიმინდი . . 900 ფუთი.

სულ: . 139.753 ფ. 35 გ.

ღებულია სესხად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისაგან ქვევრ 37.500 ფუთი.

**გასავალი:**

სიმინდის შეძენაში გადაზიდ-გადმოზიდვაში და კომიტეტის სხვა და სხვა საქმეებზე დახარჯა 3 232.428 000 მან. მიეცა სიმინდი თუ სხვა მარცვლეულობა:

| | | |
|---|---|---|
| რაჭის მაზრას | 27.000 | ფუთი. |
| შორაპნის მაზრას | 29.000 | „ |
| გორის მაზრას | 26.000 | „ |
| დუშეთი ს მაზრას | 10 000 | „ |
| ბორჩალოს მაზრას | 8.107 | „ |
| ახალციხის მაზრას | 3.000 | „ |
| ქუთაისის მაზრას | 19.585 | „ |
| ლეჩხუმის მაზრას | 12 000 | „ |
| ოზურგეთის მაზრას | 13.400 | „ |
| თბილისის მაზრას | 8 032 | „ |
| სენაკის მაზრას | 5.000 | „ |
| სამხრეთ ოსეთს | 7.833 | ფუთი. |
| სვანეთს | 1,897 | „ |
| ახალქალაქის მაზრას | 1.000 | „ |
| თიანეთის „ | 2.000 | „ |
| ს უ ლ: . | 182.874 | ფუთი. |

ამასთან ერთად მთავარი კომიტეტის თხოვნით და შუამდგომლობით ამიერკავკ. კომიტეტმა გადასცა დამშეულ მაზრებს 22.000 ფუთი ბრინჯი უფასოთ, რომელიც განაწილებული იქნება შემდეგ ნაირად:

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის მაზრას | 5.000 | ფუთი |
| შორაპნის „ | 4 000 | „ |
| რაჭის „ | 5.000 | „ |
| ლეჩხუმის „ | 4.000 | „ |
| სამხრეთ ოსეთის | 5.000 | „ |
| სულ: | 22 000 | ფუთი |

გარდა ამისა განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო მთავარმა კომიტეტმა ზოგიერთ მაზრებს აღმოუჩინა დახმარება აგრეთვე ფულითაც:

| | | |
|---|---|---|
| რაჭის მაზრას | 250.000.000 | მან. |
| სამხრეთ ოსეთის | 50.000.000 | „ |
| ოზურგეთის | 25 000 000 | „ |
| გორის | 24.000 000 | „ |
| სხვა და სხვა მაზრებს ნაწილ ნაწილად | 50 000 000 | „ |
| სულ | 399 000.000 | მან. |

ამასთან ერთად მთავარი კომიტეტი აძლევდა დახმარებას დამშეულებს მათთვის უფასო ვაგონების მიწოდებით და ღვინის სააქციზო გადასახადიდან განთავისუფლებით, რაც დიდ საშუალებას აძლევდა დამშეულ მაზრებს თავისუფლად ეწარმოებინათ ღვინისა თუ სხვა რამეების სიმინდზე გადაცვლა და ამგვარათ საჭირო სიმინდის სურსათის მომარაგება. ასეთი დახმარება აღმოეჩინა უფასო ვაგონებით შორაპანს, რაჭას, ქუთაისს, ოზურგეთს, გორის მაზრებს და სხვებს. სულ: 150 ვაგონი. სააქციზო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნა შორაპნის და ქუთაისის მაზრები —38 ვაგონი ღვინო.

გარდა ამისა მთავარმა კომიტეტმა დამშეულთა დახმარების საქმის გასაუმჯობესებლათ და დამხმარე ფონდის გასაძლიერებლათ გადაწყვიტა გამოეყენებია და ესარგებლა სხვა და სხვა სადექლამაციო ხასიათის დაწესებულებებით გასართობებით და სხ., როგორც მაგალითად თეატრებით, კლუბებით, ბაღებით, ლოტოს თამაშის, სასტუმროების და სხვა—მათი კომიტეტისათვის ხელსაყრელ პირობებში იჯარით გაცემის სახით [illegible] მიზნისთვის [illegible] და სავაჭრო [illegible].

ამ მიზნით უკვე გამოთხოვილი და მიღებულია მთავრობისაგან საქართველოს რესპუბლიკაში „ლოტოს" თამაშის მოწყობის მონოპოლიური უფლება, რომელიც ამ ქ მად უკვე მოწყობილია რესპუბლიკის მასშტაბში და რომლიდანაც ჯერ-ჯერობით მთავარ კომიტეტს ყოველ დღიურ აღრაქვს შემოსავალი ნაღდი ფულით 7—8 მილიონი მანეთი, და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეს შემოსავალი არის ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი კლუბიდან და ამ დღეებში მთავარ კომიტეტს ასეთი შემოსავალი ექნება 7 | 8 ადგილებიდან—შეიძლება ითქვას, რომ ეს ოპერაცია მისცემს მთავარ კომიტეტს შემოსავალს ყოველ დღიურად არა ნაკლებ 40—60 მილიონ მანეთისა, რაც მისთვის საგრძნობ თანხას წარმოადგენს. ასეთი ოპერაციების შესაძლებლობა არის აგრეთვე სხვა და სხვა იჯარებიდან და სხვა მზგავს წყაროებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი კომიტეტის გარდაწყვეტილებით, ეს დახმარება ეძლევათ დამშეულებს სესხათ ახალ მოსავლამდი. ყოველგვარ პროცენტების გარეშე და უკიდურეს გაჭირვებულ ქვრივ-ობლებს კი სრულიად უფასოდაც.

# კოლექტიური ხელშეკრულება და განათლების მუშაკნი

თანახმად ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა, მთელს ფედერაციაში მუშა მოსამსახურეთა და მათ დამქირავებელთა შორის დადებულ უნდა იქნეს კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს ერთგვარ ვალდებულებას ორივე მხარისას და, მაშასადამე შეიცავს მათ ურთიერთობის ყოველგვარ ნორმებს. იქ, სადაც მუშათა კანონმდებლობას საპატიო ადგილი აქვს დათმობილი, უფლებრივი ურთიერთობა დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის უზრუნველყოფილ უნდა იყოს, რომ ამ უკანასკნელთა „უფლებიანობას" ერთგვარი საზღვარი ქონდეს.

საბჭოთა რესპუბლიკებში კოლექტიური ხელშეკრულების დადება აუცილებელი შეიქნა განსაკუთრებით ე. წ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, როდესაც მწარმოებლის და მაშასადამე დამქირავებლის როლში გამოდის არა მარტო სახელმწიფო ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არამედ კერძო პირიც.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც კლასიურ ნიადაგზე დგას, ცხადია ასეთ პირობებში, საფუძვლით დაიცავს მუშათა უფლებებს და კაპიტალისტთა უსაზღვრო მადას ლაგამს ამოსდებს. ერთ ერთი ასეთი საშუალება უსათუოდ კოლექტიური ხელშეკრულებაა. ეს ხელშეკრულება ვრცელდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეებზედაც. მაგრამ რამდენადაც ადვილი შეიქნა კოლექტიური ხელშეკრულების დადება კერძო დამქირავებელსა და მუშათა შორის, იმდენად ძნელი გახდა სახელმწიფოსა და მის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

კერძო და ნაწილობრივად სახელმწიფოს წარმოებაშიც უკვე კარგი ხანია დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, რომელმაც საშუალოდ 250 პროცენტით გააუმჯობესა მუშის ცხოვრება.

მაგრამ მთელი წყება დარგების მუშაკნი აქამდისაც მოკლებულია ცხოვრების ამ გაუმჯობესებას და ძველებურად სილატაკეში ლაფავენ სულს.

ერთის მხრით მუშათა სახელმწიფოს და მუშა-მოსამსახურეთა შორის კოლექტიური ხელშეკრულების დადება პარადოქსათაც გვეჩვენება. მართლაც, საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც კლასობრივია და თავის ეკონომიურ პოლიტიკას მის დასაყრდენ მშრომელთა ინტერესების მიხედვით მართავს არ უნდა სჭირდებოდეს არავითარი ფორმალური ვალდებულების დადება მუშათა წინაშე, რადგან ვალდებულება იქ არის საჭირო, სადაც ინტერესთა სხვადასხვაობაა, აქ ხომ ინტერესთა იგივეობაა!

თეორიულად ეს მართალი დებულება ჩვენს სინამდვილეში პრაქტიკულად არა მართლდება. სახელმწიფო დღევანდელ ცხოვრებისა და მშენებლობის პროცესში იძულებულია მეტი ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ დარგს, რომელსაც ასე ვთქვათ, უფრო საწარმოო ხასიათი აქვს, ამიტომ ყურადღებით რჩება ის დარგი, რომელიც დღეს დღეს-დღეობით არ არის წარმოებითი, მაგრამ უდიდეს როლს ითამაშებს მომავლისთვის. შესაბრალისია ასეთი დარგის მუშაკნი შედარებით ინაგრება სახელმწიფოსაგანაც დღევანდელ პირობებში. რამდენიმეც ეს ასეა, იმდენათ არსებობს ინტერესთა სხვადასხვაობა ფაქტიურად სახელმწიფოსა და მათ შორის. ამიტომ სრულიად ლოღიკურია, რომ კოლექტიური ხელშეკრულება უნდა გავრცელდეს სახელმწიფო მუშა მოსამსახურეებზედაც. მაგრამ იბადება საკითხი, ვინ უნდა ადევნოს თვალყური, რომ სახელმწიფოს მიერ შესრულებული იქნეს ყველა ვალდებულება მოსამსახურეთა მიმართ, რაიც განსაზღვრული იქნება ხელშეკრულებით? სახელმწიფო თავის თავს არ გაიწვევს, თუ მან ხელშეკრულება დაარღვია და ვერავითარ პროფ. კავშირი მას ვერ აიძულებს ვალდებულების შესრულებას, რადგან ის (სახელმწიფო) უძლიერესი ორგანოა. მაგრამ მეორე მხრით უფლებრივ სახელმწიფოში თვით სახელმწიფოც ვალდებულია დაემორჩილოს კანონს, რომელიც მის მიერ არის გამოცემული. ამის მაგალითი მრავალია. ხშირად სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის სამოსამართლო პროცესი წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე დამთავრებულა კერძო პირის გამარჯვებით არსებული კანონების მიხედვით.

ამიტომ არავითარი შიში არ უნდა დაიბადოს იმაში, რომ სახელმწიფო არ შეასრულებს კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულობას. ყოველს შემთხვევაში „საბჭოეთ"-ში და სხვა ამგვარ რამეთ არ მიიხათლება მუშათა მიერ თვის უფლების დაცვისაკენ მიმართული ზომები, რომლებიც არ გასცილდება ხელშეკრულობას.

აქედან, ცხადია რამდენად საჭიროა, რომ დაჩქარებით მოხდეს ხელშეკრულობის დადება სახელმწიფოს ყველა დარგში, თორემ ყოვლად მიუღებელია რომ ერთი და იმავე კვალიფიკაციის მუშა იღებდეს სხვა და სხვა გასამრჯელოს, რომ ერთის უფლება განსაზღვრული იყოს, მეორე მოკლებული იყოს ამას! ყველაზე უდიდეს კავშირს საქართველოში განათლების და ხელოვნების (განათლების სექციას) დღემდისაც არა აქვს კოლექტიური ხელშეკრულება და არც იმედია, რომ ახლო მომავალში დარჩეს, მიუხედავათ იმისა ყველაზე უფრო ეკონომიურად სწორედ ამ დარგის მუშაკნი იჩაგრება. მასწავლებელი დღეს საშუალოდ იღებს არა უმეტეს 1,400,000 მანეთისა (ამაში შედის „პაიკიც", რომელიც გამოიხატება ერთ გირვანქა პურით) მაშინ, როდესაც წინად ის იღებდა საშუალოდ 85 მანეთს! ვგონებ, საჭიროა, ყურადღება მიექცეს ამ „საწყალ" ხალხსაც და თუ არ გავათანასწორებთ, დავაახლოვოთ მაინც ეკონომიურად ე. წ. „Обвнешторг"-ის მეკარესთან.

მ. ს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

# განცხადება.

გადასახადთა ბიურო ტფილისის ქალაქის აღმასკომისა ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 7 ივლისს აღმასკომის შენობაში დანიშნულია საბოლოვო

**საჯარო ვაჭრობა** სასტუმრო **„ინტერნაციონალის"**

იჯარით გაცემაზედ. სასტუმრო შესდგება 27 ოთახისაგან თავისი მოწყობილობით. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 60 მილიონი მანეთიდან თვიურად. კონდიციების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელიარიაში ოთახი № 50.

1—1 საიჯარო მაგიდის გამგე დარახველიძე.

# ქალ. ტფილ. აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ კვირას 2 ივლის, დღით 12 საათზე, აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) მასის—სიონის ქ. № 8
2) ხაერო—ელისაბედის ქ. 25
3) პარიზი—თივის მოედანი, № 5
4) პეტროგრადი—პლეხანოვ. ქ. № 6
5) რივიერა—დიდი მთავრის ქ. № 1
6) კომერციული ნომრები—იოაკიმის ქუჩა № 8

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საიჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან. 3—1

ტირაჟი 700
სასტამბო, უწ.დ. მ/ურ. საქ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.
ნ. დ. ს. ც.